ცნობის ფურცელი

№ 2314 ოთხშაბათი, 5 ნოემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2314

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

№ 16. აბონემენტი № 5 ტელეფონი № 716

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 2 ნოემბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

ირინეს ბედნიერება

სცენები 2 მოქ. დ. კლდიაშვილისა

II

პირველი ბუზი

კომედ. 3 მოქმ. გადმოკ. ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „ქმართა სკოლა“, მოლიერისა. შემდეგი ბენეფისი 11 ნოემბერს იქნება კ. ყიფიანისა.

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ოთხშაბათს, 5 ნოემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმედებად, მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რუნე-რადინა, კალინინა, კარრი, სელიუკ; ბ-ნნი: ჯირალდონი, რაისკი, სელიავინი, რვანოვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი. 6 ნოემბ.—წამოდგენა არ იქმნება, 7 ნოემბ. ჯირალდონის მონაწ.—8 ნოემბ. გალა-წარმოდგ.—„დუბროვსკი“, „ბალ-მასკარადი“. (ნ).

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი. – კბილისა, 10 ს. – 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ბრ. ვ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვნაჭისა. (წლ.)

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—6.—12)

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (0—8)

საზღვარ-გარედ

იაპონელების კრება

იაპონიაში ორი პარტიაა: ერთი პარტია ბეჯითად თხოულობს, ეხლავე ომი გამოუცხადოთ რუსეთსაო, მეორე პარტია მორიგების მომხრეა. ომის მომხრეებს თავიანთ საზოგადოებაცა აქვთ დაარსებული. ამ საზოგადოებას „რუსეთის წინაამდეგ ლიგას“ ეძახიან, ანუ იაპონურად „დაურო დოშიკაი“. რუსეთის წინაამდეგი ლიგა მრავალ კრებასა ჰმართავს და იაპონიის ხალხს რუსეთის წინაამდეგ აღელვებს და საომრად აქეზებს. წარსულ ოქტომბერში ამნაირ კრებებს სწორედ თვლა არა ჰქონდა თურმე. იაპონურ გაზეთებში ამნაირადაა აწერილი ერთი ასეთი კრება.

რუსეთის წინაამდეგ ლიგის კრებას ტოკიოში მრავალი ხალხი დაესწრო. კრების დამსწრენი მომეტებულ ნაწილად სულ ახალგაზდა ხალხი იყვნენ. ერთმა ახალგაზდა ორატორმა სთქვა: „თუ იაპონია ეხლა რუსეთს ომს არ გამოუცხადებს, მთელის ქვეყნიერობის სასაცილო გახდება. მაშ რიღასთვის უნდა თავისი ძლიერი ფლოტი და მრავალი ჯარი? ჩინეთ-იაპონიის ომმა ჩვენი ვაჭრები გაამდიდრა, ასევე მოხდება ეხლაც. რუსეთს უსათუოდ ომი უნდა გამოვუცხადოთო“.

მართალია, ერთ რიგ ხალხს იაპონიაში გულით სწადიან რუსეთთან ომი, მაგრამ მეორე პარტია არ ასდევს ომის მომხრეებს და რუსეთთან მორიგებას ურჩევს მთავრობას.

იაპონიის კონსტიტუცია

1890 წელს იაპონიის დედა-ქალაქ ტოკიოში დიდის ამბით გახსნეს პარლამენტი და მას აქეთ „ამომავალ მზის ქვეყანა“ ნამდვილი კულტურული სახელმწიფო გახდა. იაპონიის კონსტიტუციისა და პარლამენტის მოქმედებაზე „რუსკია ვედომოსტი“-ს ლონდონელი კორესპონდენტი სწერს:

„იაპონიის კონსტიტუცია, რასაკვირველია, ინგლისის კონსტიტუციას არ შეედრება. სამინისტრო იმპერატორის წინ აგებს პასუხს და არა პარლამენტის წინ (ისე, როგორც გერმანიაში). პირველად საარჩევნო უფლება მარტო იმათ მიენიჭათ, ვინც წელიწადში 15 იენას (15 მანეთს) პირდაპირ გადასახადს იხდიდა. ასე რომ 42 მილიონ მცხოვრებელში მხოლოდ 460 ათას კაცსა ჰქონდა საარჩევნო უფლება, მაგრამ სამის წლის შემდეგ პარლამენტმა ახალი კანონი გამოსცა და საარჩევნო ცენზი შეამცირა. ყველას, ვინც 25 წლისა შესრულდება და 10 იენას გადასახადს იხდის, საარჩევნო უფლება მიენიჭა. ასე რომ ახლა იაპონიაში 800 ათასი ამომრჩეველია. ვნახოთ ეხლა, რას არიგებდა და როგორ იქცეოდა პარლამენტი. პირველ სესიის დეპუტატებმა წერისა და პრესის თავისუფლება მოითხოვეს. ადმინისტრაციას უფლება ჰქონდა წერილების ავტორები და გაზეთების რედაქტორები თავის ნებით დაესაჯა, მაგალითად, ციხეში დაეტუსაღებინა. 1887 წელს ეს უფლება მოუსპეს ადმინისტრაციას, მხოლოდ თითონ მთავრობას-ღა ჰქონდა უფლება გაზეთი ან დროებით შეეჩერებინა, ან სამუდამოთ აეკრძალა. 1891 წ. პარლამენტმა წერის თავისუფლებაზე შედგენილი კანონ-პროექტი დაამტკიცა, მაგრამ მთავრობამ ეს კანონ-პროექტი არ შეიწყნარა. ამის შემდეგ დეპუტატებს ეს პროექტი ყოველ წელს შეჰქონდათ პარლამენტში, პარლამენტიც ყოველ წელს ამტკიცებდა, მაგრამ მთავრობა გაჯიუტდა და ამ პროექტის დამტკიცებას არა სთანხმდებოდა. 1897 წელს კი, როგორც იყო, პარლამენტმა თავისი გაიტანა და ეს პროექტი კანონად გადაიქცა. მას აქეთ იაპონიაში წერის სრული თავისუფლება დაწესდა. ძველის წესის წარმომადგენელნი წინასწარმეტყველებდნენ, ბეჭდვის სრულ თავისუფლებას საშინელი შედეგი მოჰყვება, ცენზურის გაუქმების შემდეგ პრესა ლაგამს წაიჭამსო, მაგრამ ეს წინასწარმეტყველება არ გამართლდა: პირიქით, იაპონური გაზეთები ეხლა უფრო თავდაჭერითა და წინდახედვითაც სწერენ. ამ ჟამად იაპონიაში 829 გაზეთი და ჟურნალი გამოდის (რუსეთში კი, 130 მილიონ მცხოვრებისათვის—სულ 800 პერიოდიული გამოცემაა, ყველა უბრალო განცხადების ფურცელი და საქალაქო საბჭოთა უწყებანიც რომ ზედ მივათვალოთ). წელიწადში 463 მილიონი ცალი გამოცემა იყიდება იაპონიაში. გაზეთსა და ჟურნალს იაპონიაში მარტო თავად-აზნაურობა როდი იწერს. მივარდნილ, მიყრუებულ ადგილების მცხოვრებლებიც-კი ისე შეეჩვივნენ გაზეთებს, რომ უიმათოდ ველარ გაუძლიათ“.

ბალფურის სიტყვა

ამ დღეებში დეპეშამ გვაცნობა, ლონდონის ლორდ-მერის ნადიმზე ინგლისის პირველმა მინისტრმა ბალფურმა სიტყვა წარმოსთქვა და ეხლანდელ საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაზე თავისი აზრი გამოსთქვაო. პირველ მინისტრს ეთქვა, იმედია, შორეულ-აღმოსავლეთში ომი არ მოხდებაო; დარწმუნებული ვარ, რუსეთის იმპერატორიც მშვიდობიან პოლიტიკას ადგა და იაპონიაც ზომიერებასა და წინდახედულებას გამოიჩენსო. რუსულ გაზ. „ნოვოე ვრემია“-ს ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ: „საზოგადოებამა და პრესამ დიდი ყურადღება მიაქციეს ბალფურის სიტყვას. აქ მცხოვრებ იაპონელებს არ მოეწონათ, რომ ბალფურმა იაპონიას წინდახედულობა და ზომიერება ურჩია. ჰფიქრობენ, ბალფურმა ამ სიტყვებით იაპონია გააფრთხილა, ინგლისის დახმარების იმედმა არ გაგიტაცოსო“.

ინდოეთის მეფის მოადგილის ლორდ-კერზონის მოგზაურობა სპარსეთის სრუტეში

დეპეშიდან გეცოდინებათ, რომ ინდოეთის მეფის მოადგილე ლორდ კერზონი სპარსეთის სრუტისკენ წავიდა სამოგზაუროდ. გაზეთები იუწყებიან: ლორდ კერზონს თან ძლიერი ფლოტი ეხლება და ყოველ ნავთსადგურთან ზარბაზნის სროლას ასტეხს, რომ ადგილობრივ ხალხს ინგლისის ძალა და დიდება დაანახვოსო. ინგლისის წარმომადგენელი მარტო სპარსეთის სრუტის ნაპირებზე მოგზაურობას როდი დასჯერდება, ბაღდადშიაც წავა და იქ დიდ კრებასა და ნადიმს გაჰმართავსო. „ინგლისის მეფის წარმომადგენლის დიდებული ნადიმი განთქმულ ხალიფის ჰარუნ-ალ-რაშიდის სატახტო ქალაქში ძლიერ გააოცებს მართლ-მორწმუნე მუსულმანებსაო,—ამბობს ინგლისური გაზ. „პიონირ მეილ“-ი.

ჰუნგრეთის გამარჯვება

დიდი ბრძოლა ჰქონდათ ჰუნგრების პარლამენტსა და ჰუნგრეთის მეფეს. ვინ გაიმარჯვა ამათში? „რუსკია ვედომოსტი“-ს ვენელი კორესპონდენტი ასეთს პასუხს იძლევა: „ჰუნგრეთის პარლამენტმა თავისი გაიტანა და მეფეს აჯობაო. ამას იქით ჰუნგრეთის ჯარს განსაკუთრებული ბაირაღები და ნიშნები ექნება; ჰუნგრი ოფიცრები მარტო ჰუნგრების პოლკებში იმსახურებენ; ამას გარდა, ჰუნგრების პოლკებში მხოლოდ ჰუნგრი ოფიცრები უნდა იყვნენ; ჰუნგრეთის სამხედრო სასწავლებლებში ჰუნგრულ ენის სწავლება სავალდებულო იქნება; ჰუნგრეთის სამხედრო სასამართლოებში საქმეებს ჰუნგრულ ენაზე აწარმოებენ; ჯარის უფროსებმა და ყველა სამხედრო მოხელემ მიწერ-მოწერა ჰუნგრეთის ყველა სამოქალაქო დაწესებულებასთან ჰუნგრულ ენაზე უნდა იქონიონ ჲ სხვ. და სხვ. ჰუნგრეთმა, როგორც იყო, თავისი ნატვრა შეისრულა, საკუთარი ჯარი გაიჩინა. მართალია, ამ ჯარს კიდევ კავშირი აქვს ავსტრიის ჯართან, მაგრამ თუ ჰუნგრეთს ავსტრიისთან კიდევ როდისმე უთანხმოება მოუვა, ეს კავშირი ერთის კალმის მოსმით მოისპობა. აქამდე ეს შეუძლებელი იყო. „ორიოდე კვირის წინ რომ ვისმეს ეთქვა, ჰუნგრეთი სამხედრო საქმეში ამდენ უფლებას მოიპოვებსო, ნამდვილად გიჟად ჩააგდებდნენო“,—გულახდით ეთქვა ფინანსთა მინისტრს ლუკაჩს.

ახალი ამბავი

„მოსკ. ვედომოსტებ“-ში **მთავარმართებლის თავ. გოლიცინის დაჭრის** შესახებ ვკითხულობთ: „ეტლი ნელა მიდიოდა იმ აღმართზე, რომელზედაც გაყვანილია გზა საბოტანიკო ბაღის ახალ ნაწილიდან კოჯორის შოსსემდე. როდესაც ეტლი თითქმის მიუახლოვდა შოსსეს, კუჩერთან მჯდომმა ყაზახმა და თვით კუჩერმა დაინახეს სამი კაცი, რომელნიც შოსსედან დაეშვნენ. ეს კაცები კუჩერსა და ყაზახს დანახვისათანავე საეჭვოდ ეჩვენათ. კუჩერმა მათრახი ამოიღო, ხოლო ყაზახმა აიხსნა წინიდან ეტლის საფარებელი და გახსნა რევოლვერის ბუდე. ბოროტ-მომქმედნი, ვიდრე ეტლს მიუახლოვდებოდნენ, გაიყვნენ: ერთი ეტლის მარჯვნივ წავიდა, მეორე მარცხნივ, მესამე ცოტა ჩამორჩა. შემდეგ მიუახლოვდნენ ეტლს და სალამი მისცეს მთავარ-მართებელს, რომელმაც, როგორც ყოველთვის, ზრდილობიანად პასუხი გასცა. ამ დროს ბოროტ-მომქმედნი ყვირილით გაექანნენ ეტლისაკენ. ერთმა მარცხენა ცხენის აღვირსა სტაცა ხელი და დაიყვირა: „გაჩერდი“! დანარჩენი ორი იქით-აქედან მიჰვარდნენ თავადს, რომელიც მარცხენა მხარეს იჯდა. კნეინის მხრივ მყოფი ბოროტ-მომქმედი შეხტა ეტლის საფეხურზე, ძლიერა ჰკრა ხელი კნეინას და იმის თვალ-წინ რევოლვერი დაუმიზნა თავადს. რევოლვერმა უმტყუნა და არ გავარდა. მარცხნივ მყოფმა ბოროტ-მომქმედმა ხანჯალი მოუქნია თავადს, უნდოდა გულში ჩაეკრა, მაგრამ, საბედნიეროდ, ვერ შესძლო, რადგან თავ. გ. ს. გოლიცინმა ჯოხით მოიგერია. ამ დროს თავადი სუბუქად დაიჭრა ხელში. ასევე უნაყოფოდ ჩაიარა ბოროტ-მომქმედთა მეორე განზრახვამ—უნდოდათ ეტლიდან გადმოეყვანათ თავადი, მაგრამ კნეინამ ხელი სტაცა. თავდასხმის დროს ეტლი შეჩერდა, მაგრამ იმავე წუთს კუჩერმა მათრახი დაჰკრა ცხენებს და ეტლი გაქანდა. ერთმა ბოროტ-განმზრახველმა ხელი სტაცა ეტლის გადმოსახურავს და ხანჯალი დაუშინა თავადს თავსა და სახეში. ამავე წუთს ყაზახმა, ურიადნიკმა სიპლივიმ, ჩამოხტომის დროს წააქცია ერთი ბოროტ-მომქმედი. შეტაკების დროს თვითაც წაიქცა. როდესაც სიპლივი წამოხტა, რევოლვერითა და ხანჯლით ხელში მიჰვარდა იმ ბოროტ-მომქმედს, რომელიც თავადს ხანჯალს სცემდა, და ჩამოაგდო. ეტლი გაქანდა

ეროვნული

კოჯორის შოსეკენ. ბოროტ-განმზრახველებმა უკანიდან რევოლვერები დაუშინეს. დარჩენილმა ყაზახმა დასჭრა რევოლვერით ერთი ბოროტ-მოქმედი. მაშინ ბოროტ-მოქმედთ რამდენჯერმე ესროლეს ყაზახს, დასჭრეს ფეხში და მერე მდ. დაბახანისკენ გაიქცნენ. თავადის ჭრილობანი ძალიან მძიმე აღმოჩნდა, განსაკუთრებით ის, რომელიც თავზე ჰქონდა. ეხლა გამოირკვა, რომ ჭრილობა ძვლამდე ჩასულა. მარცხენა ლოყაზე ჭრილობა ძალიან გძელი და ღრმაა. სახეზე ისეთი განიერი ჭრილობა იყო, რომ ოთხი თითი თავისუფლად ჩადიოდა. ძნელი ოპერაცია თავადს გ. ს. გოლიცინს უხლოროფორმოდ გაუკეთეს. ეხლა ჭრილობანი სავსებით რჩება, ბოროტ-მოქმედთ ჯერ პოლიციის დარაჯები დაეწივნენ და მერე ცხენოსანი ყაზახები, რომელთაც ყველაფერი აცნობა 13 წლის გიმნაზიელმა თავ. ანდრონიკოვმა“.

◆ გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია, რაც შეიძლება მეტი სადგომები აგოს **რკინის გზის მოსამსახურეთათვის**. რკინის გზათა მთავარ გამგეობას დაუვალებია ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობისთვის, აცნობოს, რა ფული დასჭირდება სადგომების აგებას.

◆ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ **კრწანისის კუთხის მცხოვრებლებმა** სთხოვეს ქალაქის გამგეობას ამ კუთხის ქუჩების განათების შესახებ. დღეს ისეა მიტოვებული ეს კუთხე, რომ შელამებიდან კაცი კარში ვერ გამოვა. ამას გარდა ისე მინგრეულ-მონგრეულია ამ კუთხის ქუჩები, რომ ღამე გავლა სახიფათოა. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ეს საკითხი მომავალ წლის გაზაფხულამდე გადასდოს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა **ორთაჭალელების თხოვნა** ფარნების გამართვის შესახებ და დაადგინა დადგას ორთაჭალაში ჯერ-ჯერობით 5 ფარანი.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ მიიღო ცნობები დედათა პირველ გიმნაზიის დირექტორისაგან იმ მოსწავლეთა შესახებ, რომელთაც ითხოვეს **ქალაქის სტიპენდიები**. დღეს გამგეობა კენჭსა ჰყრის. პირველ გიმნაზიიდან სტიპენდია უთხოვნია 47 მოსწავლე ქალს.

◆ რაჭის მაზრის **გადასახადთა ინსპექტორად** დაინიშნა ბ—ნი ჩხეიძე. ამ მაზრის წინანდელი გადასახადთა ინსპექტორი ბ-ნი სოსედჩენკო გადაიყვანეს შორაპნის მაზრაში, ხოლო შორაპნისა ბ-ნი დემენტიევი—ქუთაისის მაზრაში.

◆ **სომხური დრამატიულ საზოგადოების** წლიური კრება მოხდება კვირას, 9 ნოემბერს, დილის 11 საათზე, „საარტისტო საზოგადოების“ სადგომში.

◆ ტფილისში არსებობს მექანიკური ქარხანა კარაპეტოვისა და ბერეჟანოვისა. ამ ქარხნის პატრონებზე **დარჩენილი გადასახადი** ქალაქისა ითვლება 2332 მან. ქალაქის გამგეობამ პოლიციასა სთხოვა, გამოერთვა როგორმე ქარხნის პატრონებისთვის გადასახადი, მაგრამ პოლიციაც ვერას გახდა და ქაღალდები უკანვე გამგეობას დაუბრუნა.

◆ ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიამ სოლოლაკის ქალაქის სკოლის **მასწავლებლად** დანიშნა ქ-ნი ეგოროვი.

◆ ნოვოპროექტნი და სლეპცოვის ქუჩები უკვე გაშენდა. ამ ქუჩებზე იმყოფება დედათა მეოთხე გიმნაზია, პოლიცმეისტრის სამმართველო, 1 ნაწილის ბოქაულის სამმართველო და სხვ. მიუხედავად ამისა, ამ ქუჩებზე ერთი ფარანიც არ ანთია. ამის გამო გუშინ პოლიცმეისტერმა სთხოვა ქალაქის მოურავს, განკარგულება მოახდინოს, რომ ამ ქუჩაზე ორი ფარანი მაინც დაადგმევინონ.

◆ ტფილისის ქალაქის პირველ ღამის თავშესაფარის გამგის ანგარიშიდანა სჩანს, ოქტომბრის განმავლობაში თავშესაფარში მისულა 1051 კაცი, აქედან 935 მამაკაცი და 116 დედაკაცი. რუსი ყოფილა მამაკაცი 404, დედაკაცი 82, სომეხი მამაკაცი 358, ქართველი მამაკაცი 123 და 31 დედაკაცი, თათარი 33 და პოლონელი—17.

◆ გუშინ, 4 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა ტფილისის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარეს გადაუხადოს პალატაზე დარჩენილი გადასახადი 218 მან.

◆ 1 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, სოლოლაკისა და ლაბორატორნი ქუჩების შესართავთან, ფრანგის ქალის ჟონ-პრუს სამკერვალოში მოულოდნელად ჩამოვარდა ჩამოკიდებული ლამპა. ცეცხლი ავარდა კედელზე და მოედო ჩამოკიდებულ ტანისამოსს. გარეშენი მიეშველნენ და ვიდრე ცეცხლის მქრობელი რაზმი მოვიდოდა, ცეცხლი ჩააქრეს.

◆ 2 ნოემბერს, ობშჩესტვენი ქუჩაზე, მალალაშვილის სახლში მცხოვრებ აზ. კაპიტონ ნასიძესათვის ვიღაც ქურდს პალტო მოუპარავს.

◆ პოლიციის მე-9 ნაწილში, ხიდის ქუჩაზე, გიორგი ხელაიას დუქანში, რაღაც მიზეზისა გამო ჩხუბი მოსვლიათ სევერიან მეძმარიაშვილსა და გიორგი ნავრუზოვს. მეძმარიაშვილს უძვრია ხანჯალი და ნავრუზოვი მძიმედ დაუჭრია მუცელსა და ხელში. ნავრუზოვის ორჩენა, როგორც მიხეილის სამკურნალოში შეუმოწმებიათ, საეჭვოა. მეძმარიაშვილი დააპატიმრეს.

◆ როგორც ახალქალაქიდან გვატყობინებენ, 31 ოქტომბერს ნაშუადღევის 2 საათზე გამოურკვეველ მიზეზისა გამო ცეცხლი წაჰკიდებია ახალქალაქის მცხოვრების მოსესოვის ხე-ტყის ქარხანას. 30 წუთის განმავლობაში ერთიანად გადამწვარა მთელი ქარხანა.

ტფილისის ქალაქის საბჭო

3 ნოემბერი

იმ კვირია ორშაბათს საბჭომ დაავალა გამგეობას უფრო მეტი ცნობები წარმოედგინა იმ ადგილის შესახებ, რომლის უსასყიდლოდ დათმობა ი. ს. ყორღანოვმა მოისურვა ორი ქუჩის შესასწორებლად. გუშინ-წინ გამგეობამ მოახსენა საბჭოს, რომ ბ-ნი ყორღანოვი თანახმაა, როგორც ვეძინის ქუჩისა და მეორეს მხრით ვიწრო ქუჩის შესწორებაზე, ისე წყნეთის ქუჩაზედაც გაასწოროს თავისი ადგილის საზღვარი; ასე რომ სულ 55 ოთხ-კუთხ საჟენამდე ადგილი მუქთად დაუთმობა ქალაქს და აღნიშნული სამი ქუჩა შესწორებული გამოვა.

საბჭომ მიიღო ბ-ნ ყორღანოვის შეწირულება და დაავალა გამგეობას, საბჭოს მხრით მადლობა გამოუცხადეთო.

კნ. ბებუთოვის სახლი აქვს ქალაქს დაქირავებული, სადაც ქალაქის ზოგი დაწესებულებაა მოთავსებული. სახლის პატრონს გამოუცხადებია: პირობის ძალით ჩემ სახლში სკოლა უნდა ყოფილიყო მოთავსებული, ეხლა-კი სულ სხვა დაწესებულებაა აქაო (საუქციონო დარბაზი). ამიტომ ვითხოვ სახლის ქირა მეტი მომეცესო.

რაცა ამ საგანზე კამათი ჩამოვარდა, ზოგმა ხმოსანმა პირობის წაკითხვა მოისურვა, მაგრამ გამგეობას ეს პირობა ხელთ არა ჰქონდა, ამიტომაც ამ საგნის განხილვა შემდეგისათვის გადასდო საბჭომ.

მკითხველებმა იციან, რომ ინჟენერ ბასტამოვის თხოვნა,—ავლაბარში ტრამვაის გამართვის ნება მომეცითო—საბჭომ შეიწყნარა.

ამის შემდეგ ბ-ნ ბასტამოვს დამატებითი განცხადება წარუდგენია გამგეობისათვის:

როცა ავლაბრამდე ტრამვაი სრულიად გავმართო, სამის წლის შემდეგ ამის ნება მქონდეს ეს ტრამვაი საპროვიანტო მაღაზიიდან ნავთლუხის სადგურამდე განვაგრძოო. საბჭომ ამას ნება დართო ბ-ნ ბასტამოვს.

დიდი კამათი გამოიწვია ხმოსან ნ. ა. ხუდადოვის მოხსენებამ „ნაძალადევ“-ში დასახლებულთა შესახებ. ეს მოხსენება დაჰბეჭდა გამგეობამ და ამას წინად ყველა ხმოსანს დაურიგა. ხმ. ხუდადოვი ამტკიცებდა: ეს შვიდი წელიწადია, რაც „ნაძალადევ“-ში დასახლებულთა მდგომარეობა საბჭომ განიხილა (1895 წ.), შეიგნო იმათი უკიდურესი ხელ-მოკლეობა და 37 მუხლისაგან შემდგარი წესი შეიმუშავა, რა პირობებითა და ფასებით უნდა გაცემულიყო საიჯაროდ ქალაქის ადგილები „ნაძალადევ“-ში. მას აქეთ 650-მდე ღარიბი დასახლდა ამ უბანში—უმთავრესად დღიური მუშა, რომელიც ნივთიერად მეტად ხელ-მოკლეა და ზოგჯერ სრულებითაც შეუძლოთ. საბჭომ 1895 წელს „ნაძალადევი“-ს ადგილები სამ რიგად დაჰყო და ამის კვალობაზე ფასებიც დაადგინა—ორი შაური, სამი შაური და აბაზი საჟენზე. გამგეობა-კი მისდგომია და თავის შეხედულობით მეტ ფასებში დაუწყია ამ ადგილების გაცემა. ხმ. ხუდადოვს თავისს მოხსენებაში ჩამოთვლილი ჰყავს ისეთები, რომელზედაც გამგეობას 75—76 კაპ. შეუწერია წლიური საიჯარო გადასახადი საჟენ მიწაზე. „არ ვიცი, რით ხელ-მძღვანელობდა გამგეობა ამ დროს განმავლობაში სისტემატიურად რომ არღვევდა ქალაქის ადგილებზე დანიშნულის საიჯარო ფასის შესახებ საბჭოს დადგენილებასა“-ო ჰკითხულობს ბ-ნი ხუდადოვი, მაშინ როდესაც ფასის მომატება მხოლოდ საბჭოს უფლებაა და გამგეობას სრულებით არ შეუძლია საბჭოს დადგენილების შეცვლაო. დასასრულ ხმ. ხუდადოვმა განაცხადა: ჩემი განცხადება როგორც მცხოვრებლებისა, ისე ქალაქის ინტერესებისათვის საყურადღებოდ მიმაჩნია და ვსთხოვ საბჭოს აარჩიოს ცალკე კომისია და დაავალოს, დაწვრილებით შეისწავლოს ეხლანდელი მდგომარეობა ქალაქის ადგილების ხმარებისა და, თუ ჩემ მიერ აღნიშნული მოქმედება გამგეობისა უკანონობაა იმითი, რომ საბჭოს დადგენილება დაურღვევია მას, ვსთხოვ: 1) ყველა იმ მოიჯარადრეს უკან დაუბრუნდეს საბჭოს მიერ დანიშნულ იჯარაზე ზედ-მეტად აღებული ფული და 2) საბჭოს უფლებათა და დადგენილებათა დარღვევისათვის გამგეობა პასუხის გებაში მიეცესო.

საათ ნახევარს გასტანა ამ საგანზე კამათმა. ზოგი ამტკიცებდა: მართალია, გამგეობამ ფორმალური მხარე საბჭოს დადგენილებისა დაარღვია, ვაჭრობით არ გასცა ის ადგილები, რომელზედაც რამდენიმე მსურველი აღმოჩნდათ, მაგრამ ნივთიერი ინტერესი ქალაქისა ამ საქმეში მაინც დაცული აქვს გამგეობასაო. 1895 წლის საბჭოს დადგენილებით გამგეობა მოვალე იყო, თუ ერთისა და იმავე ნაჭერ მიწაზე რამდენიმე მსურველი გამოჩნდებოდა, წესისამებრ ვაჭრობა დანიშნულიყო და ადგილი ისე გაეცა საიჯაროდ; გამგეობამ-კი ესე არ მოახდინა. ის მიიწვევდა ხოლმე სავაჭრო-სამრეწველო პოლიციის უფროს ზედამხედველს, რამდენსამე სხვა მოსამსახურეს და ამათ დასწრებით გაჰმართავდა მიწის იჯარით ამღებთა შორის ქიშპობას—ვინც მეტს მისცემდა—ადგილიც იმას რჩებოდა.

საბოლოოდ საბჭომ უარჰყო ბ-ნ ხუდადოვის წინადადება და დაადგინა: აარჩიოს კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს წეს-რიგი ქალაქის ადგილების იჯარით გაცემისა.

დასასრულ გამგეობის წევრის არჩევანი იყო. გუშინდელ ახალ ამბებში გვქონდა დაწვრილებით ჩამოთვლილი კანდიდატების სია, რომელთაგან ხმის უმეტესობით ლ. ფ. ტიგრანოვი იქმნა არჩეული.

რუსეთის ქრონიკა

◆ აზრადა აქვთ, ახლო მომავალში გამოსცენ კანონი სამრეწველო დაწესებულებებში მომუშავეთათვის საექიმო დახმარების შესახებ. ამ კანონის ძალით ექიმობა და საექიმო დახმარება მუშებს უნდა ეძლეოდესთ მწარმოებელთა ხარჯით. ამისათვის ფინანსთა სამინისტრო ჰფიქრობს გადასინჯოს საავადმყოფოსათვის არსებული გადასახადების ის წესები, რომელნიც შეეხებიან უმთავრეს ქალაქების სამრეწველო დაწესებულებათა მუშებს.

◆ როგორც „ვესტნიკ იუგა“ იუწყება, ეკატერინოსლავის გუბერნიის მაღაროებში მომუშავენი მოკლებულნი არიან ყოველგვარ საექიმო დახმარებას. ამ მაღაროებში მუშაობს დიდ-ძალი ხალხი, ამათი რიცხვი ათი ათასობით განისაზღვრება. ყოველ დღე 12 საათის განმავლობაში დედამიწის ქვეშ, მოკლებულნი ჰაერსა და სინათლესა, სინესტესა და მტვერში მუშაობის გამო და აგრეთვე უბედურ შემთხვევებისაგან ბევრი მუშა იხოცება. არავინ არის მათი მშველელი და მომვლელი. იმათ-

ფელეტონი

ჩვენ და ჩვენი თეატრი

(დასასრული *)

აი კიდევ რამდენიმე მუხლი პატივცემულ ქართველისა და ამხ. პროგრამიდან: „თუ რომ ჩვენ ისტორიული პიესები არ გვექნება, მაშინ მინამგვანებს უნდა დავჯერდეთ“. ისე გამოდის, რომ ქულაჯაში გამოწყობილი უსულო ტიკინი სჯობია ცოცხალ ხალათოსანს. ამ ტიკინს ოღონდ ქულაჯა ეცვას და ჯერჯერობით ესეც საკმარისია, იქნება ვინმე გამოჩნდეს და ამ მარიონეტს სული შთაბეროს. ხელოვნება ქულაჯას უნდა შევწიროთ მსხვერპლად! ან კიდევ: „ნათარგმნი, უმნიშვნელო, დეკადენტური პიესები ჩვენთვის არაფერი ხელსაყრელია!“ ეს-კი მეტი შიშია. ჩვენ გვწამს დრამის ევოლიუცია და ამიტომ ვერ დავიჯერებთ, რომ დეკადენტობამ ესე მალე ჩაგვჭიდოს ხელი. სანამ ჩვენი დრამა დეკადენტობამდე მიაღწევს, ძალიან ბევრი დრო გავა. დეკადენტობამ საზღვარ-გარეთის დრამატიულ ლიტერატურაში ისეთი დიდი ადგილი ვერ დაიჭირა, რომ ჩვენზედაც გავლენა იქონიოს. უკანასკნელ დროს იმათმა წარმომადგენელმა მეტერლინკმაც კი უღალატა თავის პირველს მიმართულებას და ეხლა დეკადენტების ბანაკი თითქმის დაიშალა. მაგრამ იქნება პატივცემულ ქართველს ჰაუპტმანი და იბსენიც დეკადენტები ჰგონია? თუ ეს მართალი გამოდგა, სამწუხარო იქნება, რადგან ეს მხოლოდ იმას დაამტკიცებს, რომ პატივცემულ ქართველს და ამხ.-ს კარგად არ ესმით თანამედროვე დრამის მიმართულება.

გვაქვს თუ არა ქართველებს ორიგინალური ისტორიული პიესები? გვაქვს და არცა გვაქვს. გვაქვს იმიტომ, რომ „თამარ ბატონიშვილი“, „რუსთაველი“, პატარა კახი“, „დავით აღმაშენებელი“ და სხვანი ისტორიული პიესებია და იმათი არსებობა ეჭვს გარეშეა, მაშასადამე გვაქვს. არა გვაქვს იმიტომ, რომ ამ პიესებს ისტორიასთან საერთო არაფერი აქვთ. უეჭველია, ყველას ნანახი ექნება მოსკოვში გამოცემული სურათები: „კაცის ცხოვრების კიბე“, „ომი ჩინელებთან“, „იერუსლან ლაზარევიჩი“, „ბოვა კოროლევიჩი“ და ათასი იმგვარი სურათი, რომლებსაც რუსები „Лубочныя картины“-ს უწოდებენ. ეხლა წარმოიდგინეთ, რუსებს ამ სურათების გარდა სხვა მხატვრობა არა აქვთ. არა ჰყავთ ბრიულლოვი, პეროვი, ივანოვი, ვასნეცოვი, რეპინი, ვერეშჩაგინი და სხვანი. მაშინ რომ რუსებისთვის გეკითხნათ: „გაქვთ თუ არა მხატვრობაო?“ როგორა გგონიათ, რას გეტყოდნენ? ვინც შოვინისტობით არ იქმნებოდა გამსჭვალული, ვისაც მხატვრობისა ესმის რამე და, უმთავრესად, ვინც გაბედული და სიმართლის მოტრფიალე იქნებოდა—გეტყოდათ: „არა, არა გვაქვსო“. მაშ რისთვის არის საჭირო ჩვენგნით ჩვენივე თავის მოტყუება? ნუ თუ იმოდენა გაბედულებაც არა გვაქვს, რომ ვთქვათ: „ქართველებს ისტორიული პიესები არა გვაქვს!?“ „სამშობლო?“ წამოიძახებენ ზოგიერთნი. „სამშობლო“, ჯერ ერთი, ორიგინალური კი არა, არამედ გადმოკეთებული პიესაა, და მეორე—ეს პიესაც ისევე უნდა მოვინელოთ, როგორც კრების გახსნის დროს თავმჯდომარის ლამაზ და კეთილშობილურ სიტყვას ვინელებთ ხოლმე. ჩვენდა საუბედუროდ, ამ პიესით იწყება და ამავე პიესით თავდება ჩვენი ისტორიული რეპერტუარი. დანარჩენი პიესების გარჩევა მეტია. მართალია, პატივცემული ქართველი ზოგიერთ პიესებზე ისე გვითითებს, როგორც შობის ვარსკლავზე, მაგრამ იმ პიესებმა საზოგადოების შეგნებულ ნაწილის მხოლოდ გულგრილობა დაიმსახურეს და მეტი არაფერი. რამდენისამე წლის შემდეგ ისინი, უეჭველია, ბიბლიოგრაფთა მსხვერპლნი გახდებიან და იმათი „აღდგომა მკვდრეთით“ ისევე შეუძლებელი იქნება, როგორც იმათის ცხონებულის გმირებისა.

მაგრამ ჩვენ ისტორიულ დრამების გარდა ბევრი კარგი კომედიაცა გვაქვს. გ., რ. და დ. ერისთავებს, ა. ცაგარელს, ანტონოვს და კიდევ რამდენიმეს კარგი კომედიები აქვთ. მართალია, იმათი უარყოფა შეუძლებელია, მაგრამ მათი რეპერტუარიც გადაათვალიერეთ. მფლანგავი თავადი, კრიჟანგი სომეხი ვაჭარი, უდარდელი კინტო და სულელი გლეხი ისე სავსებით გამოიხატა იმათ კომედიებში, რომ ზემოხსენებულ კლასს თითქო ვეღარავინ ვერაფერს მიუმატებს. მაგრამ ცოტა კარგად დაუკვირდით და დაინახავთ, რამდენად მართალია ეს აზრი. მფლანგავი თავადი, სომეხი ვაჭარი, კინტო და გლეხი სცენაზე ათას სხვა-და-სხვა მდგომარეობაში გვინახავს, ისინი ბევრ ავტორს დაუხატავს, მაგრამ ყოველთვის და ყოველგან თავადი მხოლოდ მფლანგავი იყო, სომეხი ვაჭარი კრიჟანგი, ცრუ, საზიზღარი და მშიშარა, კინტო უდარდელი, ლოთი და კეთილშობლიური ქცევა ჰქონდა, გლეხი სულელი, ხეპრე და ცხვარსავით მორჩილი. ამაზე შორს ჩვენი დრამატურგები არ წასულან. ყოველ ჩვენგანს ეს ოთხი ტიპი ისე დაწვრილებით აქვს შესწავლილი, რომ ზეპირად იცის იმათი კილო, მიხვრა-მოხვრა, დიქცია და ათასი წვრილმანი თვისება. როგორ უყურებდნენ ზემოხსენებული ავტორები თავიანთ გმირებს? ცალ-მხრივად და ერთნაირად. ნუ თუ თავადი მფლანგავია, სომეხი მხოლოდ ვაჭარი, ფლიდი, მშიშარა და ყოველთვის კრიჟანგი? ნუ თუ კინტო მთელ თავის ცხოვრებას უდარდელად და ლოთობაში ატარებს და იმისი ქცევა ყოველთვის კეთილშობილურია? ნუ თუ გლეხი ყოველთვის ხეპრე, სულელი და მხოლოდ ცხვარსავით მორჩილია? აქვს თუ არა ამ ხალხს მეორე, შინაგანი ცხოვრება, ცოცხალი სული,

---

*) იხ. „ცნ. ფურც. № 2313.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის არ არსებობს არც ერთი საექიმო დაწესებულება. როდესაც მუშებს, ავადმყოფობით დასუსტებულთ, ფეხზე დგომა არ შეუძლიათ, მაღაროების პატრონები ესწრაფვიან გაჰგზავნონ სამშობლოში, სადაც ავადმყოფ და დასახიჩრებულ მუშას შიმშილი და სიკვდილი მოელის.

◆ პერმის გუბერნ. ქალ. ოსაში დაუჭერიათ ქალი, რომელსაც რამდენიმე არშინ მიტკლის მოპარვას აბრალებდნენ. ქალი დასუსტებული ყოფილა და საავადმყოფოში გაუგზავნიათ. იქ ექიმებს გასინჯვის დროს შეუმჩნევიათ, რომ გვერდები ჩამტვრეული ჰქონია. ავადმყოფს უთქვამს, გამოკითხვის დროს პოლიცელებმა ისე ძალიანა და უმოწყალოდ მცემეს, რომ გვერდები ჩამამტვრიესო. პოლიციელნი პასუხის გებაში მიუციათ.

◆ ლიბავაში ქალაქის საავადმყოფოს ექიმებს ყველას ერთად სამსახურისათვის თავი დაუნებებიათ. მიზეზი ისა ყოფილა, რომ ექიმებისათვის საკონტროლო წიგნები დაუწესებიათ.

◆ მთავრობამ ძალიან საყურადღებო ცნობები გამოაქვეყნა რკინისგზების შემოსავალ-გასავლის შესახებ. როგორც ამ ცნობებიდანა სჩანს, „მას შემდეგ, რაც ციმბირის რკინის გზაზე მატარებლების მიმოსვლა დაიწყო, სრულიად რუსეთის რკინის გზების ხარჯმა შემოსავალს გადააჭარბა. 1900 წელს ხარჯი მეტი იყო, ვიდრე შემოსავალი და ხაზინამ დაადო 2 მილიონი მანეთი. ზარალი თანდათან უფრო მატულობდა. 1901 წელს ზარალი 35 მილიონ მანეთს უდრიდა, 1902 წელს—45 მილიონ მანეთსა; მდგომარე წლის ზარალი, როგორც გამოანგარიშებულია, იქნება 60 მილიონი მანეთი. მომავალ წელს ჩინეთის რკინის გზა უსათუოდ გააორკეცებს ზარალს, ხოლო 1905 წელს, როდესაც მოძრაობა დაიწყება ბელოგოე-სედლეცკოესა და ორენბურგ-ტაშკენტის რკინის გზებზე, ხაზინის ზარალი კიდევ იმატებს. ამნაირად, სამინისტროს ანგარიშით, ერთისა და ორის წლის შემდეგ რკინის გზებიდან ხაზინას $84^1/_2$ მილიონი მანეთი ზარალი ექნება“.

◆ მომავალი წლის პირველ იანვრიდან რუსეთის რკინის გზებზე ედმონსონის ტიპის სამგზავრო ბილეთებსა და განსაკუთრებულ საბავშვო ბილეთებს შემოიღებენ. ბილეთები დაიბეჭდება სახელმწიფო ქაღალდების დასამზადებელ ექსპედიციაში.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს აღუძრავს საკითხი სახელოსნო სასამართლოების დაარსების შესახებ. ასეთი სასამართლო უნდა შესდგეს თავმჯდომარისა და ორის წევრისაგან. წევრებად ზოგჯერ სახელოსნოს პატრონნი იქნებიან, ზოგჯერ მუშები, იმის მიხედვით, თუ რა საქმეა განსახილველი. აზრად აქვთ ამ სასამართლოებს დაუქვემდებარონ სახელოსნო დაწესებულებათა წესდების დარღვევის საქმე, სახელდობრ: დაქირავება და დათხოვნა მუშებისა და შეგირდებისა, შეკვეთილ საქმის გაფუჭება, შეკვეთილ საქმის კონტრაქტის თანახმად შესრულება, მუშებისა და შეგირდების ნება დაურთველად გადასვლა ერთის სახელოსნოდან მეორეში და სხვა. ამ სასამართლოს დადგენილების განსაჩივრება შესაძლებელი იქნება საგუბერნიო გამგეობაში.

◆ წელს ტვერის საგუბერნიო გამგეობის მოსამსახურეთ განუზრახავთ ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების დაარსება, რომელსაც აზრად უნდა ჰქონოდა: მზრუნველობა გაეწია იმ ბავშვთათვის, რომელნიც ნივთიერ შველას, მფარველობას და მოვლას საჭიროებენ, ეზრუნა აგრეთვე საზოგადოდ ბავშვების ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებისათვის. ამ აზრის განსახორციელებლად საზოგადოებას უნდა ეძლია ნივთიერი დახმარება, გაეწია მფარველობა ბავშვებისათვის ყოველგვარ უკანონო მოქმედების დროს, აეგო თავშესაფარი, სკოლები და გაეშენებინა საბავშვო ბაღები. ამ დღეებში გუბერნატორს მოსვლია ცნობა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა შესაძლოდ ვერა სცნო ამ საზოგადოების წესდების დამტკიცებაო.

პრესსა

„ცნობის ფურცლის“ № 2310-ში არ არის გამოცხადებული ქართულ თეატრის ამ სეზონის რეპერტუარი. ამიტომ ჩვენ არც „გვინებებია და არც გვიკადრებია რეპერტუარის გამოგონება“. ჩვენი გაზეთის პატარა ფელეტონი იყო, თუ გნებავთ „მახინჯი ოხუნჯობა“, რომელიც, მიუხედავათ თავის „მახინჯობისა“, მიზანს არ ასცდენია...

და არც უნდა ასცდენოდა, რადგან სამართლიანი იყო: ათზე მეტი წარმოდგენა გაიმართა და ერთი ახალი და შინაარსიანი პიესა არ გვინახავს; ათჯერ და ოცჯერ ნათამაშევ პიესის გამეორება სასახელო და სასიქადულო არ არის. როცა ამოდენა ტრუპა შეადგინეს, რეჟისორად ბატონი აკაკი მოიწვიეს და საზოგადოებას უკეთესის იმედები აღუძრეს, უარესისთვის ქება-დიდებასა და მადლობას არავინ არ უნდა მოელოდეს.

ჩვენც კარგად ვიცით, რომ დახლართულ საქმის გამობრუნება ერთის სულის შებერვით მოუხერხებელია, ისიც მართალია, რომ ამისათვის დრო არის საჭირო. მაგრამ ამ „გამობრუნების“ ცდის ნიშნებს რომ ვერ ვხედავთ? პირიქით, საქმეს „გაბრუნება“ ეტყობა. და გულიც ამიტომ გვტკივა, გამგეობასა და ბ. რეჟისორსაც საყვედურს ამიტომ ვეუბნებით.

რაში დასჭირდა ბ. აკაკის შენიშვნის ავტორის ვინაობა? მასაც ხომ მარტო საქმე აინტერესებს და არა ჩვენი ან სხვისი ვინაობა? „გულწრფელობა და უშიშრობა მოითხოვს, რომ მხილებული ლობე-ყორეს არ ეფარებოდეს და თავს არ იმალავდეს“-ო, გვეუბნება ბატონი აკაკი. „უგულწრფელობა“ სად დაინახა ბ. რეჟისორმა ან ვისი უნდა გვეშინოდეს, რომ ნამდვილ სახელისა და გვარის მოწერა ვერ გაგვებედოს!

ასეთი მაღალი ფრაზა უადგილო-ალაგას არის დახარჯული.

თეატრი

ქუთაისი. კვირას, 2 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა მეტერლინკის პიესიდან გადმოკეთებული დრამა „მურად ფაშა“. პიესის უმთავრეს როლებს ასრულებდნენ ბ-ნი გუნია (მურად ფაშა) და ქ-ნი მდივნის ასული (ქეთევანი, ლევან მურვანიშვილის მეუღლე). ორივემ მოხდენილად ითამაშა. ყველაფერი ამათ ხელს უწყობდა, რომ პირველს კეთილშობილი, ნამდვილი რაინდი მურად ფაშა დაეხატა, ხოლო მეორეს—პატიოსნებით სავსე ქართველი ქალი.

ბ-ნ თუთბერიძეს, საზოგადოდ, არ ეხერხება ისეთ როლების შესრულება, სადაც საჭიროა ნაზი ალერსი, გრძნობათა ღელვის გამოხატვა. მაგრამ ამ საღამოს კარგი იყო ლევან მურვანიშვილის როლში. ბ-ნი გამყრელიძე ბევრსა სცდილობდა ბერის დახატვას, მაგრამ ვერ ახერხებდა. ბ-ნი დ. ჩარკვიანი (ლეკთა ჯარის უფროსი დაუდ) თავის ადგილას არ იყო. ამასთან ძლიერ ეტყობოდა როლის უცოდინარობა, მაგრამ ეს სენი სხვებსაც კარგად ემჩნეოდათ. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა.

დასასრულ, წარმოდგენილ იქმნა გ. სუნდუკიანცის ვოდევილი „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“. ქ-ნმა გამყრელიძემ (მართა), ბ-ნმა გამყრელიძემ (ოსკან პეტროვიჩი) და ბ-ნმა აწყურელმა (არუთინ ჰარტალოვი) მოხდენილის თამაშით ბევრი აცინეს საზოგადოება.

კიდევ საყვედური ჩვენს საზოგადოებას, რომ ასეთ კარგ წარმოდგენას არ დაესწრო. ღმერთმანი, საკვირველი ხალხი ვართ: აღარც კარგმა თამაშმა გვიშველა, აღარც ახალმა პიესებმა! მუდამ იმას ვიძახით, ძველმა პიესებმა თავი მოგვაბეზრაო. ამ დღეს ხომ ახალი პიესები იყო, მაშ რატომ არ დაესწარით?!

დონ-ვალიანი

შუამდგომლობაა აღძრული ოდესაში დრამატიულ კურსების დაარსების შესახებ. ამ შუამდგომლობის გამო მთავრობა შეეკითხა სათეატრო საზოგადოების საბჭოს.

პეტერბურგის გრადონაჩალნიკს საყურადღებო განკარგულება მოუხდენია, წინადადება მიუცია თეატრების დირექტორებისათვის წარმოდგენები უსათუოდ 11 საათზე დაამთავრონ ხოლმე. თუ პიესა დიდია, ან ძნელი დასადგმელი, შეიძლება $11^1/_2$ საათამდე გაგრძელდეს. ამასთან აფიშაზე უნდა იყოს გამოცხადებული, როდის გათავდება წარმოდგენა. ურიგო არ იქმნება ამ გარემოებას ტფილისის თეატრებმაც მიაქციონ ყურადღება და წარმოდგენა 12 საათს მაინც არასოდეს არ გადააცდინონ, რადგან ამ ხნის შემდეგ ქალაქის ბნელ და ოღრო-ჩოღროიან ქუჩებში სიარული მთელი ჯოჯოხეთია! ეტლიც 12 საათის შემდეგ ძვირადა ღირს.

კალიფორნიაში ადგილობრივ უნივერსიტეტის სტუდენტებმა ეხლა-ხან საინტერესო წარმოდგენა გაჰმართეს. გარედ, ცის ქვეშ, წარმოადგინეს არისტოფანის კომედია. დაესწრო 10 ათასი ქალი და კაცი. წარმოდგენა ძალიან მოეწონა საზოგადოებას. მოწყობილება ძველებური იყო.

ბერლინში არსებობს თეატრი „მეტროპოლ“-ი. ამას წინად ამ თეატრის დურგლებმა და დეკორატორებმა გაფიცვა მოახდინეს და შუა წარმოდგენის დროს მუშაობაზე ხელი აიღეს. დირექციამ დაიბარა კაპელდინერები და თეატრის რესტორანის ლაქიები და არტისტებთან ერთად, როგორც იქმნა, გამოცვალეს დეკორაციები.

უცნაურ ამბავს გადმოგვცემს გაზეთი „ვოლინ“-ი: ჟიტომირში, შუა წარმოდგენის დროს სახალხო თეატრის არტისტებს სცენაზე ერთი მუშტი-კრივი გაუმართავთ. არტისტებს რაღაზედაც ლაპარაკი მოსვლიათ. მალე ლაპარაკს ჩხუბი და კრივი მოჰყოლია. საქმე იქამდე მისულა, რომ არტისტებს ერთმანერთისთვის ჯოხები და სკამები დაუშენიათ. მაყურებელ საზოგადოებას ძალიან მოსწონებია ასეთი „წარმოდგენა“ და დაუწყია „ბრავო“-სა და „ბის“-ის ძახილი. ბოლოს საქმეში პოლიცია ჩარეულა, რომელსაც ერთი არტისტი და ერთი მაყურებელი საზოგადოებიდან პოლიციის ნაწილში გაუგზავნია. დანარჩენი არტისტები დამალულან.

სასამართლო

ინჟენერ ხოიცევის საქმე

გუშინ, 4 ნოემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ინჟენერ-ტეხნოლოგის ვაგარშაკ ხოიცევისა, ხაჩატურ მელიქ-სარქისოვისა, ბაირამ ალლაჰ-ყული ოღლისა და დოსტ-მაჰმედ-მაჰმედა-ოღლისა. ამათ ჰბრალდებოდათ მუშის კრიკორ მელქონოვის დამწყვდევა მარილის მაღაროში, რასაც შედეგად ამ მუშის თავის ჩამოხჩობა მოჰყვა.

1902 წელს, 23 ოქტომბერს, ყარსის ოლქში, ცაგიზმანის მახლობლად, ჯანფოლადოვის მარილის სამრეწველო კონტორიდან ვიღაცას მოუპარავს ყუთი, რომელშიაც 450 მანეთი ყოფილა. ორის დღის შემდეგ ჯანფოლადოვის მარილის საქმეების გამგეს ნახიჩევანის მცხოვრებს ხაჩატურ მელიქ-სარქისოვს განუცხადებია ჯანფოლადოვის სიძის ინჟენერ-ტეხნოლოგის ვაგარშაკ ხოიცევისთვის, რომელიც მადნებს ჰპატრონობდა, რომ 450 მან. ქურდი მელქონოვი უნდა იყოს, რადგან იგი თავს ანებებს მადნებში მუშაობას და ოსმალეთში მიემგზავრებაო. ინჟენერმა ხოიცევმა და მელიქ-სარქისოვმა პოლიციას არაფერი აცნობეს და მელკონოვი მარილის მაღაროში დაამწყვდიეს, რათა ამ გზით გამოეტეხათ. ხოიცევის

გარეგნულ თვისებების გარდა დარდი, ვარამი, ცოტათ თუ ბევრად რთული ხასიათი და სულიერი მოძრაობა?რასაკვირველია, აქვთ და სწორედ ეს „აქვთ“ დარჩა ჩვენ დრამატიულ ლიტერატურაში ხელუხლებელი და გაუშინჯავი. ამ კლასების გარეგნული ცხოვრება, კიდევ ვიმეორებთ, მშვენივრად არის გარჩეული, მაგრამ უმთავრესი კი ჩრდილში დარჩა, საიდუმლოებით არის მოცული. იგი თითქოს ვერავინ შეამჩნია და ცოტათი თუ აჰხადა ვინმემ ფარდა ამ საიდუმლოებას, შეიხედა „მეორე ცხოვრებაში“ და იმისი გარედ გამოტანა სცადა—ვერ მოერია, ვერაფერი მოახერხა და ზემოხსენებული „აქვს“ ისევ ფარდის უკან დარჩა. ჩვენს კომედიებს და ისტორიულ დრამებს აკლია უმთავრესი თვისება ხელოვნურ ნაწარმოებისა: დავით აღმაშენებლის, პატარა კახის, სააკაძის, ხანუმას, მაზუთიანის და სხვებს—სულიერი ცხოვრება, აკლია ფსიხოლოგია.

რას იტყვით, ჩვენს კომედიებს რომ მშვენიერი ფარსები დავარქვათ? გაჯავრდებით? ინებეთ, მაგრამ ჯერ დამეთანხმეთ, რომ გადამეტებულ კომედიას ფარსი ჰქვიან და მერე გადაშინჯე ჩვენით საუკეთესო კომედიები და თუ იგინიც გადამეტებულნი აღმოჩნდნენ—დამეთანხმეთ და შეერთებულის ძალით, თუმცა კი გულის ტკივილით, იმათაც „მშვენიერი ფარსები“ ვუწოდოთ.

ეხლა ერთხელ კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ყოველ შეგნებულ ქართველს, რომელსაც ხელოვნებისა ცოტა რამ მაინც ესმის და იმისი შოვინისტურ ორმოში დახრჩობა არ უნდა, არამედ პატივსა სცემს, ეთაყვანება და უყვარს იგინი და მის ეროვნულ ჩარჩოში ჩასმას მიისწრაფვის—არა ჰსურს ისეთი ისტორიული პიესები, რომლებსაც ისტორიასთან საერთო არა აქვთ-რა; რომლებიც ისტორიას ცრუდ და ყალბად ხსნიან; ისტორიას, მის განვითარებას და ამა თუ იმ მოვლენას აშენებენ მხოლოდ მეფეების გულადობაზე, იმათ მტკიცე ქრისტიანობაზე, კეთილშობილურ გულ-კეთილობაზე და ყოველთვის და ყველაფრის მიზეზი ისინი და მხოლოდ ისინი არიან; არა ჰსურთ ისეთი პიესები, რომლებსაც ხელოვნებასთან ისეთივე ნათესაობა აქვთ, როგორიც მე და ადამს, რომლებიც ისეთისავე ხელოვნებით არიან აშენებულნი, როგორც ჩვენი ქართლელი გლეხის ბოსელი და რომლის მომქმედნი პირნი იმდენადვე ჰგვანან ცოცხალ ადამიანებს, რამდენადაც სკვითების ქვების ქანდაკებანი თქვენ, მკითხველო. იმათი სულიერი მოძრაობა, იმათი ტანჯვა, სიხარული, ლაპარაკი, უადგილო ადგილოდ და უდროოდ სცენაზე გაჩენა, შეუძლებელი, დაუჯერებელი შინაარსი და ბავშური, სასაცილო ფსიხოლოგია ხელოვნებას შეურაცხჰყოფს და იმის დიდებული დანიშნულება უბრალო ხელობამდე ჩამოჰყავს; არა სურთ ისეთი ევროპიული მელოდრამები, რომლებიც ერთ და იმავე დროს გულჩვილთ ცრემლებს მოჰგვრის, წუთში ათასჯერ ამოაოხვრებინებს, ატირებს,—ზოგს კი თავის აბნაურ ჭეშმარიტებით და ბავშურ ტიტინით გულიანად გააცინებს, ადგილიდან ააყენებს და სამუდამოდ განდევნის ქართულ თეატრიდან. იმავ კაცს სრული უფლება აქვს მოითხოვოს ნამდვილი, რეალური ცხოვრება, ისეთი ცოცხალი კაცები, რომელნიც სცენაზედაც ისე იტანჯებიან, დადიან, ლაპარაკობენ, უყვართ, სძულთ, ტირიან და იცინიან, როგორც სცენის გარედ, როგორც თავიანთ სახლში. ედგარ შტეიგერისა არ იყოს—„პოეზიაში ეხლა ჩვენ მეფეები და გმირები არ გვინდა. საწყალი ღატაკი მუშა ხშირად ჩვენთვის უფრო საინტერესოა, ვიდრე მეფე და გმირი. ჩვენ მათი გვირგვინების და ძვირფასი წამოსასხამების დახატვა კი არ გვინდა, არამედ სული, კაცის ცოცხალი სული, და, ვინ იცის, ვიპოვით თუ არა ამ სულს ძვირფას წამოსასხამ ქვეშ,—მით უფრო იმისთანას, როგორიც ჩვენ გვინდა და რომელშიაც სავსებით გამოიხატებოდეს მთელი ჩვენი დასახიჩრებული საუკუნე.“

დასასრულ, ვის ხელთაც იმყოფება ჩვენი დრამის ბედ-იღბალი—ვურჩევთ უფრო მეტი ალღო იქონიონ, აქეთ-იქით უფრო კარგად მოსძებნონ და არა ერთსა და ორ ნიჭს იპოვნიან; მხოლოდ იმათ მოვლა, იმედი და გამხნევება სჭირიათ. უამისოდ ჩვენ, ქართველებმა, ისედაც ბევრი დავკარგეთ და რაც დავკარგეთ—ისიც საკმარისია.

კიდევ ერთი მუხლი პატივცემულ ქართველის პროგრამიდან: „რა მიზეზია, რომ ამ პიესებს წიხლი ჰკარით? (გ. წერეთლისა, დ. მიქელაძის და გ. შარვაშიძის პიესებზეა ლაპარაკი.)ვინ და რა უშლის ხელს მათ გამოჩვენებას? 1) სცენის სიღარიბე“, გვაძლევს პასუხს პატივცემული ქართველი. ჩვენ-კი ვამბობთ:—იმათი უვარგისობა. „2) თვით არტისტების ნაკლულევანება“, ჩვენ მივუგებთ:—პიესების სიძველე და ისევ იმათი უვარგისობა. „3) საზოგადოების ახირებულება“, ჩვენ-კი ვიტყვით:—საზოგადოების თვითმცნობიერება და განვითარება. „4) ბავშვური ტიტინი სხვა-და-სხვა რეცენზენტებისა, რომელთაც ჩაუგდიათ ხელში ამა თუ იმ ჟურნალ-გაზეთების ფურცლები და მსჯავრსა სდებენ ხელოვნებას“. ჩვენ-კი ათასჯერ გავიმეორებთ:—სამართლიანი მოთხოვნილება სხვა-და-სხვა რეცენზენტებისა, რომელთაც ჩაუგდიათ ხელში ამა თუ იმ ჟურნალ-გაზეთების ფურცლები, იცავენ ხელოვნებას იმის ხელობად გადაქცევისაგან და თხოულობენ ახალ ჰაერს, ახალ აზრებს და ახალ მიმართულებას. მხოლოდ ვწუხვართ, რომ ამ რეცენზენტების „ბავშური ტიტინი“ ისმის ჩუმად, გაუბედავად და არა ხმა მაღლა, გაბედულად და შეუპოვრად, რათა დააჩქარონ რუტინის დამარცხება და ნამდვილის ხელოვნების გამარჯვება. ნეტავ როდისმე ჩვენც გვეღირსება მეორე გ. ბრანდესი, რომ იმის სიტყვებით მიჰმართოს ქართველ საზოგადოებას: „დეე, მკვდრებმა ისევ მკვდრები დამარხონ, ჩვენ-კი ცოცხლებს ვუშველოთ“!

თავისუფალი მონა

ბრძანებით, მელიქ-სარქისოვმა და მადნებში მოსამსახურემ ნერსეს ასატუროვმა 25 ოქტომბერს მელქონოვი წაიყვანეს მარილის ერთ მაღაროში, ვითომდა ხის კუნძის ამოსატანად. ამ დროს ხოიცევი მაღაროში ყოფილა. როდესაც მელქონოვი ხოიცევთან ჩაიყვანეს, თვით ხოიცევმა, ხ. მელიქ-სარქისოვმა, ნერ. ასატუროვმა და მადნების მცველებმა ბაირამ ალახ-ყულიოღლიმ და დოსტ მაჰმედ-მამედ-ოღლიმ მელკონოვი ერთს ბნელს და ნოტიო ტუნელში შეაგდეს, კარები გამოუკეტეს და დასტოვეს. ბევრს მუშას შეუნიშნავს, რომ მელიქ-სარქისოვმა და ასატუროვმა ხოიცევის ბრძანებით წაიყვანეს მელქონოვი მარილის ზედა მადნებიდან ძირის მაღაროებში. 25 ოქტომბერს, როდესაც მუშები სადილად დასხდნენ, შენიშნეს, რომ მელქონოვი არ იყო იქა. მაშინ ჰკითხეს ასატუროვს, რა იქნა და რატომ სადილად არ მოდის მელქონოვიო. ასატუროვმა სთქვა, რომ მელქონოვი ფურგუნზე ფიცრებს აწყობსო. მუშებს უნდოდათ მელქონოვისთვის სადილი გაეგზავნათ, მაგრამ ასატუროვს ნება არ მიუცია, გაათავებს მუშაობას, მოვა და ისადილებსო.

მელქონოვი საღამომდე მაინც არ დაბრუნებულა. შეფიქრიანებული მუშები კიდევ შეეკითხნენ ასატუროვს, გვითხარ, სად არის მელქონოვიო. მაშინ ასატუროვმა უთხრა მუშებს, რომ ეჭვი შეგვეპარა— 450 მან. მოპარვაში და ამიტომ გავგზავნეთ ყაგიზმანს პოლიციასთანაო. მუშებმა მალე შეიტყეს, რომ მელქონოვი ყაგიზმანში არავის არ წაუყვანია. 26 ოქტომბერს, საღამოთი, მუშებმა ინჟენერ ხოიცევს მოსთხოვეს ფული. ხოიცევს უარი უთქვამს: „ერთი თქვენგანი დავიჭირე, როდესაც მეორესაც დავიჭერ, მაშინ მოგცემთ კუთვნილ ჯამაგირსაო„. 26 ოქტომბერს მელიქ-სარქისოვისთვის დარაჯს ბაირამს რაღაც უცნობებია. შემდეგ ბაირამი, დოსტ-მამედი და მელიქ-სარქისოვი იმ ტუნელში ყოფილან, სადაც ჩაკეტილი იყო მელქონოვი. რამდენისამე ხნის შემდეგ მელიქ-სარქისოვი და ბაირამ-ყული-ოღლი ხოიცევთან ყოფილან. საღამოს 12 საათზედ ყაგიზმანიდან მადნებში დაბრუნდნენ ხოიცევი, მელიქ-სარქისოვი და დარაჯი ბაირამი, მივიდნენ მთავრობის მიერ დანიშნულ ზედამხედველთან, ინჟენერ ნარუცკისთან და გამოუცხადეს, რომ მადნებში უბედურება მოხდა: მუშამ გრიქორ მელქონოვმა თავი ჩამოიხრჩოო. ინჟენერ ხოიცევს უთქვამს, რადგან ეჭვი შეგვეპარა, რომ 450 მანეთი მელქონოვს უნდა მოეპარა, ბრძანება მივეც ჩაემწყვდიათ, სანამ გამოტყდებოდაო. ცოტა ხანს შემდეგ თან წავიყვანე სარქისოვი, ბაირამი და დოსტ-მამედი და ჩავედი მელქონოვთან, მინდოდა გამომეტეხნა. ჯერ უარზე დადგა, შემდეგ ლაპარაკში შეეტყო, რომ ქურდობა იმას უნდა ჩაედინა, მერე ისეგ გადასთქვა. 26 ოქტომბერს წაველი ყაგიზმანში და განკარგულება მოვახდინე, რომ მელქონოვი ყაგიზმანის პოლიციისათვის გადაეცათ. ამავე დღეს საღამოთი მელიქ-სარქისოვმა შემატყობინა, რომ როცა ბაირამი და დოსტი ტუნელში ჩავიდნენ, მელქონოვი ჩამოხრჩობილი ჰნახესო. 27 ოქტომბერს ეს ამბავი გამომძიებლისათვის უცნობებია ინჟენერს ნარუცკის, მისულა ბოქაული ანდრეევი. ანდრეევს მელქონოვის გვამი უნახავს სულ ძირ ბნელ და ნოტიო ტუნელში. კისერზე გვამს შემოხვეული ჰქონია თავსაფარი. თავსაფარს ზემოდან კისერზე მობმული ჰქონდა თოკი. იქ, სადაც რგოლი იყო გამობმული, კისერთან, თოკი გაჭრილი ყოფილა და ნაჭერი იქვე მიწაზე გდებულა. შუბლსა, მკლავსა და გულში გვამს ჭრილობა ჰქონია. ხელებზე ისეთი ნიშნები აღმოაჩნდა, რომ ვიღაცას მელქონოვისათვის ხელები უნდა შეეკრა და ისე ეწვალებინა. შემოწმების დროს ექიმს ის აზრი გამოუთქვამს, რომ ვიღაცას მელქონოვი საშინლად უტანჯავსო. შუბლი და გული დაჭრილი აქვს, ბეჭი და საჯდომი დაბეჟილი რაღაც იარაღით.

ამის გამო ზემოდ დასახელებულნი პასუხის გებაში მიუციათ. გამოკითხვის დროს ინჟენერს ხოიცევს უთქვამს, ეჭვი შემეპარა ქურდობაში და რადგან არ გამოტყდა, ვუბრძანე მცველებს, ბაირამს და დოსტ-მაჰმედს, ტუნელში ჩაემწყვდიათ იგი და ეძლიათ წყალი და პური იმ დრომდე, ვიდრე არ გამოტყდებოდაო. ბაირამი და დოსტ-მაჰმედი ჯერ გამოტეხილან, შემდეგ-კი განუცხადებიათ, ჩვენ არაფერი მაგ საქმისა არა ვიცით-რა არც გაგვიგია, მელქონოვი დაჭრილი იყო თუ არაო. ბრალდებულს მელიქ-სარქისოვს უთქვამს, მელქონოვის სიკვდილი შევიტყე მხოლოდ შემდეგ ბაირამისა და დოსტ-მაჰმედისაგანაო.

ერევნის ოლქის სასამართლოს ეს საქმე განუხილავს ამ წლის 14 ივნისს. სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ბრალდებულნი და გადაუწყვეტია: ინჟენერ-ტეხნოლოგის ვაგარშაკ ს. ხოიცევისა და ხაჩატურ მელიქ-სარქისოვისათვის ყოველისავე უფლება-ღირსების ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა პირველის 6-სა, ხოლო მეორის 4 წლით; ბაირამ-ალაჰ-ყული-ოღლისა და დოსტ-მაჰმედ-მამედი-ოღლისათვის — ყოველისავე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა-გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ოთხ-ოთხის წლით.

სამოსამართლო პალატაში გუშინ 12 საათიდან საღამოს 4 საათამდე ილაპარაკეს ბრალდებულის ინჟენერ-ტეხნოლოგის ხოიცევის დამცველებმა მირონოვმა და მ. ო. გრუზენბერგმა. დამცველთ თავიანთ სიტყვებში უმთავრესი ყურადღება მიაქციეს ერევნის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებას, რომელიც შეცდომააო, განაცხადეს. ამის დასამტკიცებლად ბ-ნმა მირონოვმა, სხვათა შორის, სთქვა, საქმეში არავითარი საბუთი არ არის იმის დასამტკიცებლად, ვითომ ხოიცევს ან მის განკარგულებით თოკებით ხელები გაეკრათ მელქონოვისთვის და დაეტანჯოთო. პალატამ კარგა ხანს თათბირის შემდეგ თავისი განაჩენი გამოაცხადა საღამოს 7 საათზედ. ამ განაჩენით პალატამ დამნაშავედ იცნო ინჟენერი ხოიცევი და მელიქ-სარქისოვი გრიქორ მელქონოვის დაპატიმრებისათვის; გააუქმა ერევნის ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება და გადაუწყვიტა მათ ყოველივე პირადად თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა: ვ. ხოიცევს სამის წლისა, ხოლო მელიქ-სარქისოვს ერთ ნახევარ წლის ვადით. ამასთანავე პალატამ შეიწყნარა ვექილების თხოვნა და დაადგინა დაპატიმრებულნი გაათავისუფლოს დროებით, ვიდრე საქმე სენატში გაირჩეოდეს. ხოიცევს მოეთხოვა 3000 მანეთისა, ხოლო მელიქ-სარქისოვს 500 მანეთის წარდგენა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 ნოემბერი

ბიისკი. 1 იანვრიდან სოფელ ონგუდაში არსდება საფოსტო განყოფილება; შემდეგ კი აპირებენ კობდომდე ტელეგრაფის გაყვანას.

სარატოვი. მდინარე ვოლგაზე თოში მოდის.

ტაგანროგი. 2 ნოემბერს პოკროვსკაიასა და კოშკინოს სადგურებ შუა ბოროტ-განმზრახველებმა რკინის გზის ლიანდაგი გააფუჭეს, რის გამო ლიანდაგიდან გადავარდა საქონლის მატარებელი № 73. დაზიანდა 14 ვაგონი; მემანქანე მძიმედ დასახიჩრდა, ხოლო მისი თანაშემწე და უფროსი კონდუქტორი მსუბუქად დაშავდნენ. ერთი მგზავრი, რომელიც უბილეთოდ მიდიოდა, მოკლულია.

სკერნევიცი. 3 ნოემბერს ჰესენ-დარმშტადტის დიდის ჰერცოგის ქალიშვილი პრინცესა ელისაბედი გარდაიცვალა.

პეკინი. შეერთებულმა შტატებმა მოითხოვეს იჩუუს ნავთ-სადგურში ვაჭრობის უფლება ყველას მიეცესო. ამ მოთხოვნილებამ ყველანი გაოცა. იაპონიისა და ინგლისის ელჩებმა სეულში მოითხოვეს, იონამპოში ყველას მიეცეს ვაჭრობის უფლებაო.

ბოგოტა. კოლუმბიის პრეზიდენტმა ესპანიელებით დასახლებულ ამერიკის რესპუბლიკებს სთხოვა, დახმარება გამიწიეთ, რომ პანამა ისევ კოლუმბიას დავუბრუნოთო.

4 ნოემბერი

პორტ-არტური. როგორც იაპონიის სადიპლომატო მოხელეს გამოურკვევია რუსების მიერ იოგამპოში აგებული სიმაგრე ტყის მრეწველთა ამხანაგობის საწყობი აღმოჩენილა. პორტ-არტურში მეფის მოადგილის თანდასწრებით დიდის დღესასწაულით აკურთხეს რეალური სასწავლებელი და დედათა გიმნაზია.

პეტერბურგი. ხელმწიფე-იმპერატორმა ყოვლად უმოწყალესად უბოძა დროშები აღმოსავლეთ ციმბირის მე-26, 27, 28, 29, 30, 31 და 32 მსროლელთა პოლკებს, ამასთანავე მე-25 პოლკს უბოძა პორტ-არტურის წინანდელ სადარაჯო პოლკის დროშა, მე-29 პოლკს მეორე ვლადივასტოკის სადარაჯო პოლკისა, ზედ წარწერით 1771—1871, ალექსანდროვის საიუბილეო ლენტით, და მე-30 პოლკს—ვლადივასტოკის წინანდელ სადარაჯო პოლკის დროშა.

სოფია. (სპეციალური*) რადგან 21 ოქტომბერს მომხდარ არჩევნების გამო ისევ შემოიღეს ძალდატანების სისტემა, რომელიც შეუძლებლად ჰყოფს საკითხთა თავისუფლად განხილვას, ოპოზიციამ კერძო სხდომაზე განიხილა საკითხი: საჭიროა, კრების მოქმედებაში მონაწილეობის მიღებას თავი დავანებოთ, თუ მიუხედავად ძალმომრეობისა, განვაგრძოთ ბრძოლაო. გადასწყვიტეს, ოპოზიციის მოვალეობაა რამდენადაც შესაძლებელია, განაგრძონ მონაწილეობის მიღება და ამასთანავე დაადგინეს პროტესტი გამოუცხადონ მთავრობას უკანონო მოქმედებისათვის.

ბერლინი. ბაღდადის რკინის გზის თაობაზე საკითხის ერთად განხილვის დროს გერმანიისა და საფრანგეთის ფინანსისტთა ჯგუფები შეთანხმდნენ. ახლა ამნაირი განაწილება არსებობს: 40% მოსდის გერმანიის ჯგუფს, მის სათავეში მდგომ „დაიჩე ბანკ“-თან, ერთად, 30%—საფრანგეთის ჯგუფს, რომელსაც ხელმძღვანელობს „ბანკ იმპერიალ ოტტომან“, 20% მოსდის დანარჩენ სახელმწიფოებს—ავსტრიასა, შვეიცარიასა, იტალიასა და ოსმალეთსა 10%—ანატოლიის რკინის გზათა საზოგადოებას.—დანიის მეფე პრუსიის გენერალ-ფელდმარშლად დაინიშნა.

სიმლა. სეირნობის დროს ლორდი კიტჩენერი ცხენიდან ჩამოვარდა და მძიმედ დაუშავდა თეძო.

პარიზი. იტალიასა და ინგლისს შორის ხელშეკრულება დაიდო მსგავსად ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებისა სამედიატორო სასამართლოს შესახებ.—გარეშე საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ ინგლისის გაზეთების ცნობები, ვითომ საფრანგეთსა და სიამს შორის ურთიერთობა შეწყვეტილი იყოს, ტყუილია. ნამდვილად-კი დამოკიდებულება ცოტათი გამწვავებულია, რადგან სიამი აგვიანებს 1902 წლის ხელშეკრულებაში საფრანგეთის მიერ მოთხოვნილ ცვლილების მოხდენას.

სტამბოლი. სულთანმა ირადე გამოსცა, დაითხოვონ მცირე აზიაში მდგომი სათადარიგო ჯარის ბატალიონები.

---

*) ბოლგარიის ოპოზიციონურ წრეებისაგან.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ხის ნახშირის
საწყობი
იაგორ გურგენის ძის მამინაიშვილისა (საკუთარის ტყიდან) გადავიდა ოლგას ქუჩაზედ, ბაშინჯაგოვის სახლში, № 23, სარაჯიშვილის ქარხნის პირდაპირ. (7—ნ.—8)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ**. სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

განცხადება
მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭო
ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1903 წლის 10 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, ქალაქ ქუთაისს, საბჭოს სადგომში, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით **ჭალის გზატკეცილის** შეკეთების საქმე, ½ ვერსტისა 58 საჟ. მანძილზე; საქმის ღირებულობა 4384 მ. 12 კაპ.
ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, ამის დაწყებამდე უნდა წარუდგინოს საბჭოს ზემოდ აღნიშნულ ფულის 5% ან ნაღდის ფულით ან მთავრობისაგან უზრუნველ ყოფილ ფასიან ქაღალდებით.
ვაჭრობის შედეგის დამტკიცება საბჭოს შეხედულებისაგან არის დამოკიდებული. (ნ. 1—1)

ამერიკულ ვაზის სანერგეში
კლო-ყგურულში
დაიწყო გაყიდვა **დამყნილ** დაფესვიანებულ ვაზებისა. იყიდება აგრეთვე **ვაზის რქები** საუკეთესო ჯიშისა, როგორც ადგილობრივი, ისე ბორდოსი, ბურგუნდისა, შამპანიისა, რეინისა და სხვა. მრავლად არის როგორც რქა, ისე დაფესვიანებული გიბრიდი, აგრეთვე ამერიკული ჯიშები სამყნობად და დედა ვაზისთვის, მშრალ, ნოტიო, მაგარ, მძიმე და სხვა ნიადაგისთვის. სანერგეში 700 სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზია. პრეისკურანტები და ახსნა უსასყიდლოდ. ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის. В. Тьебо Кутаисъ. (10—ნ.—2)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
იწვევს იმათ, ვისაც, ვისაც სურს **გალობის მასწავლებლობა** მამა დავითისა, ვერისა I, ვერისა III და ჩუღურეთის ქალაქის პირველ-დაწყებით სკოლებში. თხოვნების მიღება გასტანს 20 ნოემბრამდე. თხოვნასთან უნდა ახლდეს შესაფერი მოწმობა მასწავლებლობისა. (3—ნ.—1)

განცხადება
მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭო
ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1903 წლის 10 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, ქ. ქუთაისში, საბჭოს სადგომში, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით საიჯაროდ გაიცემა **წირქვალის გზის შეკეთების საქმე**; შესაკეთებელია 1572 საჟ. გზა, 10.854 მან. და 12 კაპეიკისა.
ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, ამის დაწყებამდე უნდა წარუდგინოს საბჭოს ზემოდ-აღნიშნულ ფულის 5% ან ნაღდის ფულით ან მთავრობისაგან უზრუნველყოფილ ფასიან ქაღალდებით.
ვაჭრობის შედეგის დამტკიცება საბჭოს შეხედულებისაგან არის დამოკიდებული. (ნ. 1—1)

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ელეოპატი
შვედური ბალზამი
პროვიზორის **კინუნენისა**
ეს საშუალება ამაგრებს თმას და სპობს ქერტლსა. ის გარემოება, რომ ამ ელეოპატს 25 წელიწადია (1877 წლიდან) დიდი გასავალი აქვს, გვარწმუნებს, ნდობით მოეკიდოთ ამ საშუალებას. ისყიდება ყველგან.
ადრესი წერილებისთვის: ს.-პეტერბურგი, რაზიეზჟაია № 13, პროვიზ. კინუნენის ელეოპატის მთავარ საწყობში (С.-Петербургъ, Разъѣжая, 13,—въ главный складъ Элеопата, пров. Кинунена). (4—ნ.—3)

Дозв. ценз. Тифлисъ 4 Ноября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).